

შპს ნაია
ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ნაია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(მომზადებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო

სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო

საწარმოებისათვის“-ის მიხედვით, 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
საანგარიშგებო წლისთვის.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ნაია“-ს („ორგანიზაცია“) ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის, მათ შორის სააღრიცხვო პოლიტიკის, ისეთი ფორმით წარდგენაზე, რაც უზრუნველყოფს შესაბამის, სანდო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- წარადგინოს დამატებითი განმარტებები, როდესაც ფასს-ის კონკრეტულ მოთხოვნებთან შესაბამისობა არ არის საკმარისი მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია, რათა მისთვის ცხადი იყოს კონკრეტული ტრანზაქციების, სხვა მოვლენებისა და გარემოებების გავლენა „ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობასა და ფინანსური შედეგებზე“.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ორგანიზაციაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ორგანიზაციას ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ორგანიზაციას აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2021 წლის 25 სექტემბერს.

1. ზოგადი ინფორმაცია

ა) საქართველოს ბიზნეს გარემო

შპს „შპს ნაია“ საქმიანობას ახორციელებს საქართველოში, შესაბამისად კომპანია მოქცეულია საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ბაზრის გავლენის ქვეშ, რომელიც ხასიათდება განვითარებადი ბაზრის ნიშნებით. საგადასახადო, იურიდიული საკანონმდებლო ნორმატიული აქტები აგრეთვე მარეგულირებელი ორგანოები განიცდიან რეფორმებს და ხშირ ცვლილებებს რაც დამატებით გამოწვევების წინაშე აყენებს საქართველოში მოქმედ იურიდიულ პირებს. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის შეფასებას, საქართველოს ბიზნეს გარემოს კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენის შესახებ. სამომავლოდ შეიძლება ბიზნეს გარემო განსხვავებული იყოს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

ბ) ორგანიზაცია და საქმიანობა

„შპს ნაია“ - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;

საიდენტიფიკაციო კოდი 205001781;

რეგისტრაციის თარიღი - 13/03/2003.

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ., №12, ბ. №1;

კომპანიის დამფუძნებელი - ირაკლი კოპაძე, 01007001219 - 100%;

დირექტორი - ირაკლი კოპაძე, 01007001219;

შპს „ნაია“-ს საქმიანობა ძირითადად უკავშირდება საქართველოში არსებული უცხო ქვეყნის საელჩოების, საკონსულოებისა და სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციათა წარმომადგენლობების დაცვით მომსახურებას.

კომპანია ასევე ახდენს დაცვის სისტემებისა და მოწყობილობების რეალიზაციას და შემოსავლების მცირე ნაწილს ამ საქმიანობიდანაც იღებს.

2. მომზადების საფუძვლები

შესაბამისობა

ორგანიზაციის თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ის მიხედვით.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისთვის კომპანიის ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილ აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის თარიღისთვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შემოსავლებსა და ხარჯებზე.

ყველა ასეთი მნიშვნელოვანი შეფასება განხილული იქნება ქვემოთ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები.

კომპანიის მიერ გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. პოლიტიკა გამოიყენება უცვლელად ყველა წლისთვის.

ფინანსური ინსტრუმენტები

ა) ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ მე-11 და მე-12 განყოფილებების მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს. საწარმო ყველა ძირითადი

ფინანსური ინსტრუმენტის აღრიცხვისთვის გამოიყენებს ამორტიზებული ღირებულების მოდელს.

როდესაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება პირველად აღიარდება, საწარმო მათ აფასებს გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმომ ფინანსურ ინსტრუმენტებს აფასებს შემდეგნაირად:

- სავალო ინსტრუმენტები, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით
- სესხის მიღების ვალდებულება ფასდება თვითღირებულებით, გაუფასურების თანხის გამოკლებით.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ

შემთხვევაში, როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

საწარმო ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) აღიარებას წყვეტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ძირითადი საშუალებები

საწარმო ძირითადი საშუალებების ღირებულებას აქტივად აღიარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც:

ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და

ბ) საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

საწარმო ძირითად საშუალებებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს თვითღირებულებით. თავდაპირველი შეფასების შემდეგ საწარმო ძირითად საშუალებებს აღრიცხავს დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. გადაფასების მოდელი გამოყენებული არ არის.

ცვეთის დარიცხვა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხდება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ როდესაც აქტივი შედის ექსპლუატაციაში.

საწარმო ძირითადი საშუალების აღიარებას წყვეტს:

(ა) გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან

(ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, შემდეგ ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის ღირებულება ეფუძნება საშუალო შეწონილ პრინციპს და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე, წარმოებასა და გადამუშავებაზე და პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია მარაგების მოცემულ ადგილსა და მოცემულ მდგომარეობაში მისაწოდებლად. ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში ნეტო სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას, გამოკლებული დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, შემდგომში ისინი საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშობა მაშინ როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება რომ კომპანია ვერ შეძლებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში მოქმედებს მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ მოდელის მთავარი ცვლილება არის ის რომ მოგების გადასახადის გადახდა ხდება დაგროვილი მოგების განაწილებისას. საანგარიშგებო პერიოდი წლის ნაცვლად გახდა თვე. გადასახადის განაკვეთი დარჩა იგივე - 15%. მოგების გადასახადით განაწილებულ მოგებასთან ერთად იბეგრება - სხვაობა კონტრაქტის ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის; ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან; საჩუქრები; წარმომადგენლობითი ხარჯები ლიმიტს ზემოთ.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის სპეციფიკიდან გამომდინარე, საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი განისაზღვრება წესდებით, ყოველი ცვლილება წესდებაში ხორციელდება კომპანიის დამფუძნებლების მიერ.

დაგროვილი მოგება მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების მოგებას/ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა.

ვალდებულებები

„კომპანიას“ სააღრიცხვო მიზნებისთვის გამოიყენებული აქვს გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულებები.

ამონაგები

საწარმო ამონაგები აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. რომელიც მცირდება ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობით, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

(ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

(ბ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

(გ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და

(დ) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

საწარმო მომსახურების ოპერაციასთან დაკავშირებულ ამონაგებს აღიარებს ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით სანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური მდგომარეობაში წარმოდგენილი მუხლები შეფასებულია იმ ეკონომიკურ გარემოში ავალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალში არსებული ვალუტით რომელშიც ოპერირებს კომპანია - ქართულ ლარში.

შპს ნაია

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ნაია			
		2020	2019
საქმიანობის შედეგები			
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან		55177	31041
შემოსავალი მომსახურებიდან		2160198	2094913
ნეტო ამონაგები		2215374	2125954
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება			
საწყისი მარაგი		10977	9593
შესყიდვა		36107	23302
საბოლოო მარაგი		16126	10977
საერთო მოგება		2184416	2104036
სხვა შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება		-1872430	-1673940
ცვეთა და ამორტიზაცია		-46235	-44913
საპროექტო ხარჯი		-25912	-31465
ოჯარის ხარჯი		-40920	-47959
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		-125443	-252724
სულ საოპერაციო ხარჯები		-2110940	-2051002
საოპერაციო მოგება		73476	53034
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		-1997	-115
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		71479	52920
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		98730	45811
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		170209	98730



შპს „ნაია“
დირექტორი

/ირაკლი კობახიძე/

შპს ნაია

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ნაია			
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2020	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2019	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი 31.12.2018
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი და ფულადი ეკვივალენტები	111255	4318	3477
საფაქრო მოთხოვნები	198441	171635	126685
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	131652	9	9
მარაგები	16126	10977	9593
სხვა მიმდინარე აქტივები	41203		
სულ მოკლევადიანი აქტივები	498677	186939	139764
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	59866	94860	135226
სხვა გრძელვადიანი აქტივები	29280	29280	29280
სულ გრძელვადიანი აქტივები	89146	124140	164506
სულ აქტივები	587823	311079	304270
ვალდებულებები			
საფაქრო ვალდებულებები		5706	6722
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	188973	58839	90169
საგადასახადი ვალდებულებები		29680	29916
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	227507	117008	130531
გამოუმუშავებელი შემოსავალი	21	0	0
სხვა ვალდებულებები	1113	1116	1121
სულ ვალდებულებები	417613	212349	258459
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	2000	2000	2000
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	168209	96730	43811
საკუთარი კაპიტალის ცვლილება	170209	98730	45811
სულ საკუთარი კაპიტალი	170209	98730	45811
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	587823	311079	304270

შპს „ნაია“-ს
დირექტორი



/ირაკლი კოპაძე/

შპს ნაია
 ფინანსური ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ნაია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2020	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2019	წინა საანგარიშგებ ო პერიოდის საწყ.თარიღი 01.01.2019
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1	111255	4318	3477
სავაჭრო მოთხოვნები	2	198441	171635	126685
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	3	131652	9	9
მარაგები	4	16126	10977	9593
სხვა მიმდინარე აქტივები		41203		
სულ მოკლევადიანი აქტივები		498677	186939	139764
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	59866	94860	135226
სხვა გრძელვადიანი აქტივები	5	29280	29280	29280
სულ გრძელვადიანი აქტივები		89146	124140	164506
სულ აქტივები		587823	311079	304270
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	6		5706	6722
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	10	188973	58839	90169
საგადასახადი ვალდებულებები	7		29680	29916
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	9	227507	117008	130531
გამოუმუშავებელი შემოსავალი	8	21	0	0
სხვა ვალდებულებები		1113	1116	1121
სულ ვალდებულებები		417613	212349	258459
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		2000	2000	2000
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		168209	96730	43811
საკუთარი კაპიტალის ცვლილება				
სულ საკუთარი კაპიტალი	11	170209	98730	45811
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		587823	311079	304270

შპს ნაია
ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქმიანობის შედეგი

		2020	2019
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან		55177	31041
შემოსავალი მომსახურებიდან		2160198	2094913
ნეტო ამონაგები	12	2215374	2125954
<u>რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება</u>			
საწყისი მარაგი		10977	9593
შესყიდვა		36107	23302
საბოლოო მარაგი		16126	10977
საერთო მოგება		2184416	2104036
<u>სხვა შემოსავალი</u>			
დასაქმებულთა ანაზღაურება		-1872430	-1673940
ცვეთა და ამორტიზაცია		-46235	-44913
საპროცენტო ხარჯი		-25912	-31465
იჯარის ხარჯი		-40920	-47959
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		-125443	-252724
სულ საოპერაციო ხარჯები	13	-2110940	-2051002
საოპერაციო მოგება		73476	53034
<u>გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:</u>			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		-1997	-115
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		71479	52920
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		98730	45811
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		170209	98730

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

აქტივები

1. ფული და ფულის ექვივალენტები

ა.ფულადი ნაშთი სალაროში -3955,12

ბ.ფულადი ნაშთი საბანკო ანგარიშზე-107300,27

2. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები მთლიანად დაკავშირებულია მიმდინარე კონტრაქტებთან და მისაღები დავალიანება შეადგენს 198440,93 ლარს

3. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი

ამ მუხლში გაერთიანებულია წინაწარ გადახდილი თანხები კრედიტორებისათვის, რომელიც მთლიანად უკავშირდება ძირითადი საშუალების შეძენას - 131651,74

4. მარაგები

კომპანიას აქვს მცირე რაოდენობის მარაგები, რაც წარმოადგენს დაცვის სისტემების დამხმარე მასალებსა და აქსესუარებს, რომელიც წლის ბოლოს ჯერ არ იყო რეალიზებული. ღნიშნული მარაგების ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 16126 ლარს

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების უდიდესი წილი მოდის სატრანსპორტო საშუალებებზე. კომპანიას გააჩნია ასევე საოფისე ინვენტარი და სხვადასხვა დანიშნულების მოწყობილობები და არამატერიალური ძირითადი საშუალება.

ვალდებულებები

6. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის კომპანიას არ გააჩნია.

7. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები ძირითადად მოიცავს დღგ-ს და გადასახდელ საშემოსავლო გადასახადს, რომელიც წარმოიშვა წლის ბოლოს და გადახდა მოხდა მომდევნო წლის იანვარში. 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის კომპანიას ამ მუხლით ვალდებულების ნაცვლად გააჩნია აქტივი - 41202,54

8. გამოუმუშავებელი შემოსავალი

ეს მუხლი შედგება ძირითადად მიღებული ავანსებისგან, ამ მუხლით ორგანიზაციას ვალდებულებები ფაქტობრივად არ გააჩნია.

9. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

ეს მუხლი სრულად მოიცავს საკრედიტო ორგანიზაციისაგან ნასესხებ თანხებს, რომელიც აღებულია მომსახურების გასაწევად საჭირო აღჭურვილობის შესაძენად - 227506,57

10. ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ

ეს მუხლი მოიცავს თანამშრომელთა მიმართ დავალიანებას.

ორგანიზაციის ხარჯების უდიდესი ნაწილი მოდის სახელფასო განაცემებზე. ვალდებულება ამ ნაწილში წარმოიქმნება გასული თვის დარიცხული და გამომუშავებული ხელფასების აღიარებით, რომლის გაცემაც როგორც წესი ხდება მომდევნო თვის დასაწყისში.

ამ მუხლით ვალდებულების ჯამი 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის შეადგენს 188973,08 ლარს.

11. საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალის ძირითადი ნაწილი არის დაგროვილი მოგება. დაგროვილი მოგება წარმოქმნილია წინა პერიოდებში მიღებული მოგებისგან. კომპანია მოგების გადასახადით ბეგრავს ისეთ ხარჯებს, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან დაშესაბამისად ამცირებს გასანაწილებელ მოგებას.

12. ამონაგები

ამონაგები არის ძირითადად ორი სახის:

მომსახურებით მიღებული შემოსავლები 2160197,63

სასაქონლო მარაგების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი 55176,64

13. ხარჯები

კომპანიის ძირითადი ხარჯები უკავშირდება დაცვის მომსახურების გასაწევად დაქირავებული პირების სახელფასო უზრუნველყოფას და ამავე მომსახურების გასაწევად საჭირო სამეურნეო მასალებისა და ნედლეულის შესყიდვას.

ამის გარდა გაწეულია ადმინისტრაციულ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯი; მათ შორის ხელფასები, საოფისე და სხვადასხვა სამეურნეო ხარჯი.